ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №11

12 ივლისი, 2022 წელი
13:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, სოფიო ჯაფარიძე და გიორგი შარაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე – გიორგი ჩაკვეტაძე
2. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – ვლადიმერ ბოჟაძე
3. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – გივი ჩხარტიშვილი
4. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – ირაკლი ეძგვერაძე

მოწვეული სტუმრები:

1. ირაკლი გვილავა – ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქავა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ცირა შალოშვილი – ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კულტურის ობიექტების მართვის და დაგეგმარების განყოფილების უფროსი.

თბილისის საკრებულოში ორი კომისიის - განათლებისა და კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და

ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი

3. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: ლევან მიქავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესში“ მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო, რამდენადაც, დასახელებული წესის მოქმედი რედაქციით, მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვა შესაძლებელია პიროვნების გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კოვიდპანდემიის პერიოდში ბევრი სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწე დაიღუპა, საგამონაკლისო წესის არარსებობის გამო ვერ მოხერხდა მემორიალური დაფების განთავსება, მაშინ როცა, იმავე პიროვნებებისთვის ქუჩის სახელდება განხორციელებულა. ამასთან, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა 1/3 ინიციატივის შემთხვევაში. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული საგამონაკლისო

წესი იძლევა საშუალებას ქუჩის სახელდება ვადამდეც განხორციელდეს. ამ შემთხვევაშიც, პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ, ქუჩის სახელდებისგან განსხვავებით, ამა თუ იმ პიროვნებისთვის მემორიალური დაფის განთავსება ვერ ხერხდებოდა საგამონაკლისო წესის არარსებობის გამო, ამდენად, დღევანდელ სხდომაზე წარმოდგენილი ცვლილება სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრას ემსახურება.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს, ირაკლი გვილავას, რომლის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვა გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია პიროვნების გარდაცვალებიდან 5 წელზე ადრე, თუ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" თბილისის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგამონაკლისო წესით, თბილისის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებით გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭების შესახებ, აგრეთვე თუ სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწე დაკრძალულია პანთეონში.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/02/2020; სარეგისტრაციო კოდი: 450050020.35.101.016690) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის:

ა) მეორე მუხლის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია – სხვადასხვა მასალით შექმნილი ობიექტი, რომელიც კულტურულ ფასეულობას მიეკუთვნება: ძეგლი (ქანდაკება, სკულპტურა), ობელისკი და რომელზეც საქართველოს სახელმწიფო ენაზე მიეთითება შემდეგი ინფორმაცია: ავტორი, არქიტექტორი, განთავსების თარიღი და მასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინფორმაცია არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციაზე, საქართველოს სახელმწიფო ენასთან ერთად, შესაძლებელია შესრულდეს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ენაზე;";

ბ) მე-2 მუხლის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სამინისტრო – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;";

გ) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია.";

დ) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ" ქვეპუნქტი:

„დ) თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებით გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭების შესახებ, თუ სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის გარდაცვალებიდან არ არის გასული 5 წელი.";

ე) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვა შესაძლებელია პიროვნების გარდაცვალებიდან 5 წელზე ადრე იმ შემთხვევაში თუ:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგამონაკლისო წესით, თბილისის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებით გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭების შესახებ;

ბ) სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწე დაკრძალულია თბილისის საზოგადო და გამოჩენილ მოღვაწეთა პანთეონში.";

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: თინათინ ნიბლოშვილმა, გიორგი შარაშიძემ და ვლადიმერ ბოჟაძემ.

თინათინ ნიბლოშვილის განცხადებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის" შესაბამისად, საგამონაკლისო წესით თუ დაიინიცირდებოდა ქუჩის სახელდება, ამის პარალელურად ვერ ხერხდებოდა ამავე პიროვნებისთვის მემორიალური დაფის განთავსება, რასაც ხელს უშლიდა საგამონაკლისო წესის არარსებობა. ამდენად, საგამონაკლისო წესის დადგენა (პიროვნების გარდაცვალებიდან 5 წლამდე ვადის ფარგლებში მემორიალური დაფის განთავსების ნაწილში), მნიშვნელოვანი და მისასალმებელი ცვლილებაა.

გიორგი შარაშიძე დაინტერესდა, არსებობს თუ არა რაიმე სტანდარტი მემორიალური დაფების დიზაინთან მიმართებით და რამდენად არის შესაძლებელი სხვადასხვა ენებზე მოხდეს ინფორმაციის განთავსება, რაზეც ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კულტურის ობიექტების მართვის და დაგეგმარების განყოფილების უფროსმა, ცირა შალოშვილმა უპასუხა, რომ სტანდარტი დადგენილია და ზუსტდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მემორიალური დაფის განსათავსებელი ადგილი მიხედვით. მემორიალური დაფა შესაძლებელია იყოს როგორც ქართულენოვანი, აგრეთვე ორენოვანი და რიგ შემთხვევებში სამენოვანიც კი.

ვლადიმერ ბოჟაძემ წარმოდგენილ საკითხთან მიმართებით განმარტა, რომ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა ინიციატივა, ვიქტორ სანეევის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე, რაც ვერ ხერხდებოდა არსებული საკანონმდებლო დანაწესის გამო. ამჟამად, მიმდინარეობს მსჯელობა ერთ-ერთი ქუჩისთვის ვიქტორ სანეევის სახელის მინიჭების შესახებ, რაც შემდგომში მოგცემს საშუალებას, აღნიშნული ცვლილებასთან ერთად მემორიალური დაფის განთავსების საკითხი დადგეს დღის წესრიგში. ამდენად, წარმოდგენილი ცვლილება, მისი აზრით, მისასალმებელია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	4
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ირაკლი გვილავას, რომლის განცხადებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში შედის ცვლილება (www.matsne.gov.ge; 12/02/2019; N010260300.35.101.016576) და დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 13) განხორციელების წესის“ (დანართი N1) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ბ.გ) მედიახელოვნების სფეროს პროექტების ხელშეწყობა – თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ციფრული და ვირტუალური ხელოვნება, რობოტიკა, ციფრული ფოტოგრაფია, ურბანული მედიახელოვნება, აუდიოვიზუალური ინსტალაციები, ანიმაცია, ხელოვნური ინტელექტი და სხვა;“.

ზემოაღნიშნული ცვლილების მიხედვით, „აუდიოვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობა“ შეიცვლება „მედიახელოვნების სფეროს პროექტების ხელშეწყობით“. 2021 წელს, ქალაქ თბილისი გახდა UNESCO-ს „შემოქმედებითი ქალაქების ქსელის“ (UCCN) წევრი მედიახელოვნების მიმართულებით, რაც ახალ შესაძლებლობას აძლევს ამ სფეროში მოღვაწე ხელოვანებს და ორგანიზაციებს, როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით. შესაბამისად, მიზანშეწონილია რომ აღნიშნული მიმართულება ჩამოყალიბდეს მედიახელოვნების სახელწოდებით. მიმართულების მიზანია მედიახელოვნების ფორმატის პროექტების ხელშეწყობა. დაფინანსებას ექვემდებარება: თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ციფრული და ვირტუალური ხელოვნება, რობოტიკა, ციფრული ფოტოგრაფია, ურბანული მედიახელოვნება, აუდიოვიზუალური ინსტალაციები, ანიმაცია, ხელოვნური ინტელექტი და სხვა.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	4
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მესამე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ლევან მიქავას, რომლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება ფაქტიურად მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით, კერძოდ: იზრდება გრანტების ნაწილში გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან – 1 017,5 ათასი ლარით (სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (ს/ნ205298211) მიერ სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის და მიმდინარე წელს მიღებული შემოსავლის (სს „არდი დაზღვევას“ მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩარიცხული თანხები) ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 1 017,5 ათასი ლარით და შეადგენს 1 395 751,0 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნები გადანაწილდა შემდეგ პროგრამაზე/ქვეპროგრამაზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) – 1 000,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 135,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 495,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 200,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 400,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 700,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 300,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 145,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) – 22,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 60,0 ათასი ლარი,

ქ.თბილისის საკრებულოს (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნება – 200,0 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 330,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 2 349,4 ათასი ლარით, რაც მიმართული იქნება უკრაინელების სასტუმროში განსათავსებლად.

ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა – მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) – 6,0 ათასი ლარი.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) ქვეპროგრამის ასიგნებები – 400,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 600,0 ათასი ლარი, საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) – 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 135,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 700,0 ათასი ლარი, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) – 25,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) – 100,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 300,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 6,0 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 200,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 22,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) პროგრამის ასიგნება – 1 836,9 ათასი ლარი.

ასევე, **დაზუსტდა** ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 1 ერთეულით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა – 30 ერთეულით, ხოლო ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა 6 ერთეულით. შესაბამისად ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 37 ერთეულით და ჯამურად შეადგენს 4 027 ერთეულს. ლევან მიქავას განმარტებით, მომუშავეთა რიცხოვნობის ზრდა არ იქნება ბიუჯეტისთვის დამატებითი ხარჯი, ვინაიდან სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ემატება ორი სამსახური, რომლებიც შეითავსებენ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ფუნქციებს, თავის მხრივ, თბილისის სატრანსპორტო კომპანია დაფინანსდება ნაკლებად, საშტატო რიცხოვნობის შემცირების პროპორციულად.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	4
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა